საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/195 " 4 " ივნისი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის მის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების დემონტაჟის განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი შენობის მშენებლობა უნდა განხორციელდეს ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, როსტევანის ქ. №61/დავით აღმაშენებლის ხეივანი №6-ში, №01.72.14.065.022 საკადასტრო კოდზე მდებარე მიწის ნაკვეთზე. მშენებლობის დაწყებისათვის საჭიროა მითითებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული ამორტიზებული 3 შენობის (№1, №2, №4) დემონტაჟი. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა წერილობით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მითითებული პროცედურის განხორციელებისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, განახორციელოს მის ბალანსზე რიცხული ზემოაღნიშნული უძრავი ქონების დემონტაჟი.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი